



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 130

„ 18 „ მისტი 2014 წ.

### ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №1/127 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №1/127 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი განისაზღვროს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

№	მოსამსახურეთა თანამდებობრივი დასახელება	სადღეღამისო ნორმაზე დანამატის ოდენობა პროცენტებით
1	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე	100
2	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	90
3	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	85
4	საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი	80
5	სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	80
6	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრი	75

7	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი (გარდა ამ ცხრილის პირველი-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოსამართლეებისა)	75
8	სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	70
9	რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე	60
10	საერთო სასამართლოს მოსამართლე	40“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი